

## განმარტებითი ბარათი

„სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვების გაცემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონის პროექტზე

წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №25 27.08.2004. მუხ.122) შესაბამისად სამკურნალო საშუალებების მიმოქცევის სფეროში სახელმწიფო მართვას ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, მისი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – წამლის სააგენტოს მეშვეობით, ხოლო ფარმაცევტულ საქმიანობაზე სახელმწიფო მმართველობის სფეროში წამლის სააგენტოს ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს ფარმაცევტული საქმიანობის ლიცენზირება.

გარდა ამისა, “ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №33, 23.12.2002, მუხ.162) მოთხოვნათა გათვალისწინებით ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემოტანისა და გატანის საქმიანობის განხორციელება საჭიროებს სამინისტროს წინასწარ ნებართვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საჭირო გახდა “სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირებისა და ნებართვების გაცემის საფუძვლების

შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.

კანონის პროექტის წარმოდგენილი სახით მიღება დააკონკრეტებს სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვების გამცემ სახელმწიფო ორგანოებს.

კანონის პროექტი დამატებით ხარჯებს არ ითვალისწინებს.

კანონის პროექტის ავტორია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ხოლო წარმდგენი – საქართველოს მთავრობა.